ოქმი:**ო05. 3726056001**

თარიღი:**25/02/2026**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 20 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

15:30 – 16:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ქ. კვაჭანტირაძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

2 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი; გენო მორჩილაძე

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების

ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ პროექტი აწესრიგებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენების საკითხს. დადგენილების კონკრეტულ მუხლებზე კომისიის წევრებს მოახსენა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მანვე დააყენა წინადადება დადგენილების მესამე მუხლს დამატებოდა ორი პუნქტი: “დ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციების თავმჯდომარეები; და „ე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. განაცხადა, რომ პროექტი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წრმებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების და საჯარო მოსამსახორეების შრომის ანაზღაურებაში ცვლილებები განპირობებულია კოეფიციენტის ზრდით. დადგენილების მუხლები კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N2,3 საკითხები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების, ხოლო N1 საკითხი განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი